

მიზეზობრივი კავშირის დადგენა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გაუფრთხილებლობით დანაშაულებში

შენგელია ირაკლი – ასოცირებული პროფესორი, სამართლის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Establishment of Causal Link in Life, Health and Negligence Crimes

Shengelia Irakli – Associate Professor, Department of Law, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Causal link in criminal law belongs to the category of discussing problems which studying acquires more actuality day after day in the modern world together with the development of social relations and revealing new forms of socially dangerous actions. The issue is more urgent despite that there are developed some theories of causality, but in the modern criminal law science and practice the integrated approach to establishment of causality link has not been developed yet.

Various theories with their individual approach try to explain main point of causality in the criminal law and to develop peculiar rules for establishment. The goal of the research of causality in criminal law is to efficiently solve criminal liability issue, as existence of causality link between action and result excludes criminal liability for simple reason of imperfection of objective composition of the action.

Research methodology: In the research there are applied following methods: Historical and legal analysis, normative and legal documentation analysis; special legal and comparative legal.

Results and implications: In our work we touch upon the issue of how the causality link is solved in life, health and negligence Crimes.

For establishment of causality link in murder case the practice leads to general theories of causality and therefore, peculiarities for objective composition of murder is considered.

Investigating and judicial practice analysis reveals inhomogeneous approach to establishment of causality link in crimes of negligence. Peculiarities of the crime of negligence unlike intentional crime are that the action of the subject isn't directed towards the criminal outcome.

Conclusion: As a result of analysis of legislation and practice, recommendations will be elaborated, which, in our view, will enhance the legislation and effectively solve the issue of criminal liability in case of causal link.

Keywords: causal link, Offenses against life and health, negligent offenses

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში სადისკუსიო პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის შესწავლაც დღითი დღე მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე სამყაროში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და სოციალურად საშიშ ქმედებათა ახალი ფორმების გამოვლინების ფონზე. საკითხი აქტუალურია მით უფრო იმ ფონზე, რომ შემუშავებულია მიზეზობრიობის არაერთი თეორია, მაგრამ თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხისადმი.

სხვადასხვა თეორიები თავიანთი ინდივიდუალური მიდგომით ცდილობენ ახსნან მიზეზობრიობის არსი სისხლის სამართალში და ჩამოაყალიბონ ერთგვარი წესები. მის დასადგენად. სისხლის სამართალში მიზეზობრიობის კვლევის მიზანია ეფექტურად გადაიჭრას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რამდენადაც მიზეზობრივი კავშირის არარსებობა ქმედებასა და შედეგს შორის გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქმედების ობიექტური შემადგენლობის არასრულყოფილების მარტივი მიზეზით.

კვლევის მეთოდოლოგია: ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი; ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტაციის ანალიზი; სპეციალურ-სამართლებრივი; შედარებით-სამართლებრივი.

შედეგები და გამოყენება: ჩვენს ნაშრომში ჩვენ ვეხებით საკითხს თუ როგორ ხდება პრაქტიკაში მიზეზობრივი კავშირის გადაწყვეტა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გაუფრთხილებლობით დანაშაულებში. მკვლევლობის საქმეებზე მიზეზობრივი კავშირის დადგენისას პრაქტიკა ხელმძღვანელობს მიზეზობრიობის ზოგადი თეორიებით და ამასთანავე ითვალისწინებს მკვლევლობის ობიექტური შემადგენლობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს არაერთგვაროვან მიდგომას ზოგადად გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა ხასიათისა და კერძოდ კი ასეთ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის დადგენისადმი. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის თავისებურება, განსხვავებით განზრახი დანაშაულებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტის ქმედება არ არის მიმართული დანაშაულებრივი შედეგის დადგომისაკენ.

დასკვნა: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად შემუშავებული იქნება რეკომენდაციები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს კანონმდებლობის დახვეწას და მიზეზობრივი კავშირის არსებობის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის ეფექტურად გადაჭრას.

საკვანძო სიტყვები: მიზეზობრივი კავშირი, დანაშაულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, გაუფრთხილებლობითი დანაშაულები.

ჩვენს ნაშრომში ჩვენ ვეხებით საკითხს თუ როგორ ხდება პრაქტიკაში მიზეზობრივი კავშირის გადაწყვეტა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გაუფრთხილებლობით დანაშაულებში.

მკვლევლობის საქმეებზე მიზეზობრივი კავშირის დადგენისას პრაქტიკა ხელმძღვანელობს მიზეზობრიობის ზოგადი თეორიებით და ამასთანავე ითვალისწინებს მკვლევლობის ობიექტური შემადგენლობისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

სისხლის სამართალში უმოქმედობით მკვლევლობის ჩადენის შესაძლებლობა დიდი ხნის განმავლობაში სადავო საკითხს წარმოადგენდა. საკითხი მესამე თავში უკვე განვიხილეთ, მოცემულ თავში შევხებით უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულს მხოლოდ იმ ასპექტში, რაც ეხება განსაცდელში მიტოვებისას მიზეზობრივი კავშირისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. პრაქტიკაში რთულია გაავლო კონკრეტული ზღვარი განსაცდელში მიტოვებასა და უმოქმედობით ჩადენილ მკვლევობას შორის. ეს გასაკვირი არ უნდა იყოს იმ ფონზე, რომ განსაცდელში მიტოვებისა და მკვლევლობის სუბიექტური მხარის ნიშნები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. მკვლევლობის შემთხვევაში შედეგი არის ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, თუმცაღა განსაცდელში მიტოვების შემთხვევაშიც სავსებით შესაძლებელია იგივე შედეგის დადგომა, თუმცა ასეთი შედეგი უკვე სცდება განსაცდელში მიტოვების, როგორც ფორმალური დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს. გაბატონებულია მოსაზრება, რომ პირდაპირი განზრახვის არსებობისას განსაცდელში მიტოვება გადაიზრდება მკვლევობაში. თუკი მოცემულ აზრს გავიზიარებთ, მაშინ გაუგებარია არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში რატომღა ვაკვალაფიცირებთ ქმედებას, როგორც განსაცდელში მიტოვებას და არა, როგორც მკვლევობას. განსაცდელში მიტოვებისა და მკვლევლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის მცდელობა მხოლოდ იმის გამო, რომ განსაცდელში მიტოვებულს აკისრია სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, ვერ იქნება წარმატებული. არსებობს ასევე მოსაზრება, რომ განსხვავება განსაცდელში მიტოვებასა და მკვლევობას შორის მოხდეს დამდგარი შედეგის მიხედვით: თუ შედეგი დადგება ადამიანის სიცოცხლის მოსპობის სახით ქმედება დავაკვალაფიცირებთ, როგორც მკვლევობა, ხოლო თუ ესეთი შედეგი არ დადგა, როგორც განსაცდელში მიტოვება. თუმცა, რა თქმა უნდა შედეგის მიხედვით ამ ორი დანაშაულის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ვერ მოხდება, რამდენადაც ყველა იმ

შემთხვევაში როცა ადგილი ექნება მკვლევლობის მცდელობას, შეუძლებელი გახდება მკვლევლობის შემადგენლობისა და განსაცდელში მიტოვების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. თვლიან, რომ პრაქტიკაში პრობლემის გადაჭრის გზა ქმედების იბოექტურ მხარეში უნდა ვეძებოთ. თუ ადგილი აქვს სუბიექტის აქტიურ მოქმედებას საქმე გვაქვს მკვლევლობასთან, ხოლო უმოქმედობის შემთხვევაში კი განსაცდელში მიტოვებასთან. ერთი შეხედვით ეს იოლი გზაა პრობლემისაგან თავის დასაღწევად, მაგრამ იგი არ გამოდგება მის გადასაჭრელად, რადგან კანონმდებლობა იცნობს უმოქმედობით ჩადენილ მკვლევლობასაც და პრაქტიკაშიც ხდება ისეთი შემთხვევები, როცა უმოქმედობასაც ისევე შეუძლია შედეგის გამოწვევა, როგორც დამნაშავეის აქტიურ მოქმედებას. სავსებით შესაძლებელია პირმა გაუფრთხილებლობით დააზიანოს მსხვერპლი, გამოიწვიოს მისი უმწეო მდგომარეობა ან საერთოდ არ იყოს ჩარეული იმ პირის უმწეო მდგომარეობის გამოწვევაში, რომლის მიმართაც სამართლებრივი გარანტის ფუნქცია გააჩნია, მაგრამ შემდგომში წარმოეშვას მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა და უმოქმედობით თავისუფლად მიაღწიოს კიდეც აღნიშნულ შედეგს. საქმე იმაშია, რომ მკვლევლობის შემთხვევაში პირის ქმედება (მათ შორის უმოქმედობა) თავიდანვე მიმართულია კონკრეტული შედეგის დადგომისაკენ. განსაცდელში მიტოვებისას კი სამართლებრივ გარანტს არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი განზრახვით არ შეიძლება ჰქონდეს მსხვერპლის სიკვდილის განზრახვა. თვით განსაცდელში მიტოვების, როგორც დანაშაულის არსი მდგომარეობს სამართლებრივი გარანტის ფუნქციის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ მნიშვნელობაში. კანონმდებელი პირს აკისრებს სამართლებრივ მოვალეობას იმოქმედოს, შეასრულოს სამართლებრივი გარანტის ფუნქცია და თუ ეს პირი არა თუ არ ასრულებს ამ ფუნქციას, არამედ განზრახ ხელყოფს სამართლებრივ სიკეთეს ან საფრთხეს უქმნის მას, თავისი ქმედებით ავლენს მეტ საზოგადოებრივ საშიშროებას და შესაბამისად, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, როგორც მკვლევლობის და არა, როგორც განსაცდელში მიტოვებისათვის.

საკმაოდ საინტერესოა მიზეზობრივი კავშირის საკითხი თვითმკვლევლობამდე მიყვანის დანაშაულში. მიჩნეულია, რომ დაზარალებულის სიკვდილი მიზეზობრივ კავშირშია თვით დაზარალებულის ქმედებასთან. მაგრამ, ასეთი მშრალი დაკვანის გაკეთება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს დამნაშავეის ქმედების მიზეზობრივი კავშირის როლი დაზარალებულის სიკვდილში. არ შეიძლება ვისაუბროთ დაზარალებულის ქმედების მისივე სიკვდილთან მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე თვითმკვლევლობამდე მიყვანის დანაშაულში, ვინაიდან დაზარალებულის ქმედება არ ყოფილა ნებაყოფლობითი. სადაც არ გვაქვს ნების თავისუფლება, არანებაყოფლობითი ქმედება ვერც წარმოშობს მიზეზობრიობას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით. სწორედ ეს გარემოება განასხვავებს თვითმკვლევლობას თვითმკვლევლობამდე მიყვანისაგან. შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება დაზარალებულის არა ნებელობით ქმედებას, არამედ ბრალდებულის ქმედების (ფსიქიკური ან ფიზიკური ზემოქმედების) მექანიკურ შედეგს, ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლევლობა.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს და არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ნორმის დისპოზიციაში მითითებულ კონკრეტულ შედეგს შორის, რაც გამოიხატება ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების სახით.

მიზეზობრივი კავშირი იარსებებს მაშინაც, როდესაც შედეგი, სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების სახით დადგება ბრალდებულის მიერ მიყენებული დაზიანებების

შედეგად იმ დაზარალებულისათვის, რომელსაც სპეციფიკური დაავადება ახასიათებს. მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი იარსებებს, რადგან საქმე არ გვაქვს მიზეზობრივი კავშირის გაწყვეტასთან, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი იქნება არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის, არამედ სუბიექტური მხარის სხვა ნიშნების არსებობაც.¹

დანაშაულებში, რომელთა ობიექტს ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა წარმოადგენს პრაქტიკა ხშირად მიმართავს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას. მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის დასადგენად პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს რამდენად გამოიწვია პირის ქმედებამ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება, ხომ არ არის შედეგი განპირობებული თავად დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის თავისებურებებით, რამდენად გათიშულია პირის ქმედება და შედეგი ერთმანეთისაგან დროსა და სივრცეში და ა.შ. ხშირ შემთხვევებში ქმედებაც და შედეგიც იმდენად ცხადი და აშკარაა, რომ კატეგორიული ექსპერტიზის დასკვნის მიღება სირთულეს არ წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, როცა ექსპერტიზა კატეგორიულად დადებით დასკვნას იძლევა და პასუხობს, რომ დაზარალებულის სიკვდილის უშაულო მიზეზი არის მაგალითად: ცეცხლანსროლი დაზიანება მიენებული გულ-მკერდის არეში, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებებით ირკვევა, რომ ეს დაზიანება მიყენებულია ბრალდებულის მიერ, მიზეზობრივი კავშირის არსებობა ნათელია.

მიზეზობრივი კავშირის დადგენა გაუფრთხილებლობით დანაშაულში;

გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს წინდახედულობის ნორმების ან უსაფრთხოების სპეციალური ნორმების დარღვევა. ასეთი ნორმების დარღვევის ფაქტის დადგენა დაკავშირებულია ბრალეულობის საკითხის გადაჭრასთან და წარმოადგენს გაუფრთხილებელი ქმედების შემადგენლობის ისეთ აუცილებელ ელემენტს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს გაუფრთხილებლობით დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის ხასიათსა და მოცულობას.²

გაუფრთხილებლობითი დანაშაულის „მოდელად“ ტექნიკის გამოყენების სფეროში მიჩნეულია სატრანსპორტო დანაშაული. თუმცა, მიზეზობრივი კავშირის შესწავლა თითოეული კატეგორიის საქმეზე უნდა ეფუძნებოდეს სისხლის სამართლის მეცნიერების საერთო შეხედულებებსა და კანონზომიერებებს. მიზეზობრივი კავშირის შესწავლისას გაუფრთხილებლობით დანაშაულებში მხედველობაში მიიღება კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი მიდგომები, რა თქმა უნდა გაუფრთხილებლობითი დანაშაულის განსაკუთრებული მახასიათებლების გათვალისწინებით, რომლებიც ავსებენ სამართლებრივ თეორიებს.

გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის საკითხი შეისწავლა პ. დაგელმა, რომელიც გამოჰყოფდა მიზეზობრივი კავშირის განვითარების რამდენიმე ეტაპს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებში.

¹ Медведева С. Н., Криминалистические проблемы причинности в раскрытии и расследовании преступлений против жизни и здоровья, Кр., 2005., ხელმისაწვდომია <http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/192190.html> (მოძიებულია 18.04.13)

² Квашиш В. Е., Теоретические основы профилактики неосторожных преступлений, М., 1977., С. 80.

პირველ ეტაპზე შეინიშნება საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტული საშიშროება და ეს ეტაპი იწყება მაშინ, როდესაც უშუალოდ დაირღვა უსაფრთხოების ნორმები, მაგრამ რეალური საშიშროება ჯერ კიდევ არ დამდგარა და მოვლენები ჩვეულებრივ ვითარდება.³

მეორე ეტაპზე წარმოიქმნება ავარიული სიტუაცია, მაგრამ ტექნიკა კვლავაც სრულად კონტროლდება სუბიექტის მიერ და მას ჯერ კიდევ შეუძლია შესაძლო სავალალო შედეგის თავიდან აცილება, თუკი მიიღებს უსაფრთხოებისათვის აუცილებელ ზომებს.⁴

მესამე ეტაპზე ტექნიკა გამოდის სუბიექტის კონტროლიდან და მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის ხელის შეშლა უკვე სუბიექტის ძალებს აღემატება. ლიტერატურაში ეს მომენტი ცნობილია ე.წ. „უმართაობის პერიოდის“ სახელწოდებით.⁵

უსაფრთხოების წესების დარღვევა მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან თუ: ა) ის წინ უსწრებდა შედეგის წარმოშობას; ბ) იყო შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა; გ) შექმნა ზუსტად ასეთი შედეგის დადგომის რეალური საფრთხე ან განაპირობა უკვე არსებული საფრთხის რეალიზება;⁶

საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს არაერთგვაროვან მიდგომას ზოგადად გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა ხასიათისა და კერძოდ კი ასეთ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის დადგენისადმი. გაუფრთხილებლობითი დანაშაულის თავისებურება, განსხვავებით განზრახი დანაშაულებისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტის ქმედება არ არის მიმართული დანაშაულებრივი შედეგის დადგომისაკენ. ეს გარემოება, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოცემულ დანაშაულებში მიზეზობრივი კავშირის თავისებურებებსაც. ერთ-ერთი თავისებურება „მიზეზობრივ“ ფაქტორთა მრავალფეროვნებაში მდგომარეობს და ამ ფაქტორთა შორის უსაფრთხოების წესების დარღვევა მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა, რაც განაპირობებს შედეგის დადგომას.

მიზეზობრივი კავშირის დადგენა სატრანსპორტო დანაშაულის დროს სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. პრაქტიკოსი იურისტებისაგან ხშირად მოვისმენთ, რომ პირმა დაარღვია ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესები, გამოიჩინა თვითიმედოვნება ან იმოქმედა დაუდევრობით და შესაბამისად, მან შედეგისათვის აუცილებლად უნდა აგოს პასუხი. მაგრამ ბრალეულობის საკითხის გარკვევა არ ნიშნავს მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენას პირის გაუფრთხილებელ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ საკმაოდ საინტერესო მაგალითი უახლოესი სასამართლო პრაქტიკიდან: ა.-მ, რომელიც მართავდა სატვირთო ავტომანქანას და გადაჰქონდა დიდი ტევადობის ტვირთი, ვერ უზრუნველყო ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების წესების დაცვა. შედეგად ტვირთი მოსწყდა სატვირთო ავტომანქანას და დაეცა პარალელურად მოძრავ სამგზავრო ავტომანქანას. ავტოსაგზაო შემთხვევამ ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

თუკი ამ შემთხვევას დაგელისეულ ეტაპებად დავყოფთ, შევეცდებით დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი ა.-ს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მოქმედი კანონმდებლობით ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოებაზე სრული პასუხისმგებლობა მძღოლს ეკისრება. აქედან გამომდინარე დგინდება, რომ მძღოლს აქვს მოქმედების კანონისმიერი მოვალეობა, კერძოდ მას ევალება უზრუნველყოს ტვირთის უსაფრთხო გადატანა ერთი

³ Дагель П. С., Причинная связь в преступлениях совершаемых по неосторожности., М.,1981, С. 30

⁴ იხილეთ იქვე.

⁵ იხილეთ იქვე. С. 32

⁶ იხილეთ იქვე.

ადგილიდან სხვა მიმართულებით. შევადაროთ ა.-ს ქმედება დაგელის სქემის პირველ ეტაპს. საფრთხის აბსტრაქტული საშიშროების წარმოქმნა უკავშირდება თავად უსაფრთხოების წესების დარღვევის მომენტს. პირველ ეტაპზე სუბიექტის ქმედების მიზეზობრივად რელევანტურობის დადგენა დამოკიდებულია იმაზე თუ რას ამბობს საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა. თუკი ავტოსატრანსპორტო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად იკვეთება, რომ ტვირთის უსაფრთხოდ დამაგრება არ იქნა უზრუნველყოფილი, რამაც შემდგომში გამოიწვია ტვირთის გადაადგილება, შეგვიძლია შევაფასოთ, რომ პირველი ეტაპი, როდესაც წარმოიშვა აბსტრაქტული საფრთხე შესაძლო შედეგისა იყო სწორედ ის მომენტი, როდესაც ა.-მ ვერ უზრუნველყო და არ დაიცვა ტვირთის დამაგრების უსაფრთხოების ზომები. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პირველივე ეტაპიდან სუბიექტის ქმედება მიზეზობრივად არის დაკავშირებული შესაძლო შედეგთან, მიუხედავად იმისა რომ მოცემულ ეტაპზე მხოლოდ აბსტრაქტულად არსებობს მისი დადგომის საფრთხე. ეს ის მომენტია, როდესაც შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ა.-ს ქმედება წინ უსწრებდა შედეგის დადგომას, მაგრამ რეალური საფრთხე შედეგის დადგომისა ჯერ კიდევ არ შექმნილა. ა.-ს ქმედების შედეგთან მიზეზობრივად დასაკავშირებლად, მან უნდა უპასუხოვს მეორე ეტაპისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. კერძოდ, აუცილებელია დადგინდეს, თუ როდის შეიქმნა მომენტი, როდესაც ა.-ს ქმედება საფრთხის შემქნელ დელიქტად იქცა და შედეგის დადგომის რეალური საშიშროება წარმოშვა. ამ შემთხვევაშიც პრაქტიკას საექსპერტო კვლევის შედეგების მოხმობა მოუხდა და გაირკვა, რომ სატვირტო ავტომანქანაში უსაფრთხოების ზომების დარღვევით დამაგრებული ტვირთის გადაადგილებისას მძღოლმა კვლავაც ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების ზომების დაცვა, არ შეწყვიტა მოძრაობა, თუმცაღა მას ჯერ კიდევ შეეძლო თავიდან აერიდებინა ის შესაძლო შედეგი, რის რეალურად საფრთხესაც ქმნიდა მის მიერ უსაფრთხოების ზომების დარღვევა. ექსპერტიზამ ასევე დაადგინა, რომ ტვირთის გადმოვარდნის მომენტში მძღოლს უკვე აღარ შეეძლო შედეგის თავიდან აცილება, ეს კი დაგელისეული სქემის მესამე ეტაპია და სუბიექტის ქმედების შედეგთან მიზეზობრივად დაკავშირებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი მოცემულ ეტაპზე არის არა ის გარემოება, რომ სუბიექტს უკვე აღარ შესწევს ძალა შეეწინააღმდეგოს მისივე ქმედებით აღძრული მიზეზობრივი ჯაჭვის ლოგიკურ განვითარებას, არამედ ის, რომ სახეზეა თავად ფაქტი - შედეგის დადგომა ამა თუ იმ კონკრეტული სახით.

ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ უსაფრთხოების წესების დარღვევისას მიზეზობრიობას შეიძლება ჰქონეს როგორც მთავარი ისე მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, ერთგვაროვანმა დარღვევებმა შესაძლებელია არაერთგვაროვანი როლი შეასრულონ შედეგის დადგომაში და განსხვავებული ხარისხით უზრუნველყონ შედეგის განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულებში შედეგის დადგომა სიტუატიურ ხასიათს ატარებს. ვ. კვამისი აღნიშნავდა: „რამდენადაც უხემ და საშიშ ხასიათს ატარებს უსაფრთხოების წესების უგულვებლყოფა თანაბარ პირობებში, იმდენად მძიმეა თავად შედეგი.“⁷ თუმცა ასეთი მიდგომა გაუფრთხილებელ დანაშაულთა კონკრეტულ შემთხვევებს ვერ ერგება, რამდენადაც პრაქტიკა სავსეა წინააღმდეგობებით და სავსებით შესაძლებელია ძალიან მძიმე დარღვევასაც კი სრულებითაც არ მოჰყვეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან პირიქით, უმნიშვნელო დარღვევამაც კი გარკვეულ სიტუაციაში შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

⁷ Квашиш В. Е., Теоретические основы профилактики неосторожных преступлений, М., 1977., С. 80.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა ხასიათი მდგომარეობს არა იმდენად დამნაშავის შეცდომაში ან შემთხვევითობაში, რამდენადაც დაკავშირებულია დამნაშავის მიერ მასზედ დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასთან. მსგავსი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება შესაძლოა გამოვლინდეს წინდახედულობის ნორმით დადგენილი წესების უხეშ და გაცნობიერებულ დარღვევაში.

გაუფრთხილებელ დანაშაულთა ობიექტური მხარის, კერძოდ კი მიზეზობრივი კავშირის თავისებურების შესწავლა ცხადყოფს, რომ ტექნიკის ფარული დეფექტები, ბუნების გაუთვალისწინებელი მოვლენები და სხვა გარე ფაქტორები არ გამორიცხავენ სუბიექტის ბრალეულობას ასეთ დანაშაულებში, თუ პირის მხრიდან ადგილი აქვს წინდახედულობის ნორმის დაღვევას, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით.

ლიტერატურა:

1. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი თბ., 2016
2. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2011
3. Медведева С. Н., Криминалистические проблемы причинности в раскрытии и расследовании преступлений против жизни и здоровья, Кр., 2005
4. Кваши В. Е., Теоретические основы профилактики неосторожных преступлений, М.,1977.
5. Дагель П. С., Причинная связь в преступлениях совершаемых по неосторожности., М.,1981